

მუხლი 815. სადაზღვევო შესატანის გადახდის ვალდებულება

1. დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი მხოლოდ დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის მიღების შემდეგ.
2. თუ დაზღვევის ინტერესი დაიკარგა, მაშინ მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას. მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა.

I. ნორმის მიზანი	1
II. პირველი სადაზღვევო შესატანის გადახდის წესი	1
III. დაზღვევის ინტერესის არსი	1
IV. ნაკისრი რისკის ხანგრძლივობის შესაბამისი პრემიის გადახდა.....	3
V. მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა	4

I. ნორმის მიზანი

815-819 მუხლები აწესრიგებს სადაზღვევო პრემიის გადახდასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს. უნდა აღინიშნოს, რომ სადაზღვევო შესატანის მარეგულირებელი ნორმები თავიანთი არსით ზოგად დებულებებს მიეკუთვნება და მათი ცალკე თავში მოწესრიგების აუცილებლობა არ არსებობს (იხ. 799-ე მუხლის კომენტ.).

II. პირველი სადაზღვევო შესატანის გადახდის წესი

815 I აწესრიგებს პირველ სადაზღვევო შესატანთან დაკავშირებულ შემთხვევებს და მიუთითებს, რომ აღნიშნული ვალდებულება უნდა შესრულდეს მხოლოდ დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის მიღების შემდეგ. სადაზღვევო პრაქტიკაში, როგორც წესი, პირველი სადაზღვევო შესატანის გადახდა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ხდება.¹ თუმცა, თუ დამზღვევი სადაზღვევო შესატანს გადაიხდის და მზღვეველი უარს იტყვის პრემიის გაცემაზე, გადახდილი პრემია დაბრუნდება. ეს გამონაკლისია სადაზღვევო ურთიერთობებში დანერგილი წესისა, რომლის თანახმადაც გადახდილი პრემიები დაბრუნებას არ ექვემდებარება (იხ. 799-ე მუხლის კომენტ.). მოცემულ შემთხვევაში ლოგიკა შემდეგნაირად უნდა განვითარდეს: მზღვეველს არ გაუცია პოლისი. შესაბამისად, არც ხელშეკრულება დადების პრეზუმფცია არსებობს. ხელშეკრულების არარსებობის პირობებში ადგილი არც მზღვეველის მიერ რისკის ტარებას აქვს. შედეგად, პრემია გამომუშავებულად არ ჩაითვლება და დაექვემდებარება დაბრუნებას.

III. დაზღვევის ინტერესის არსი

დაზღვევის დოქტრინის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის ღირებულია არსის დაზუსტება. აღნიშნული კი სადაზღვევო ინტერესისა და დაზღვევის ინტერესის ცნებებს შორის არსებული

¹ ცისკაძე, ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, 2001, გვ. 26.

მიმართების განსაზღვრას მოითხოვს. ასეთ დაზუსტებას გააჩნია არა მხოლოდ ტერმინოლოგიური, არამედ შინაარსობრივი მნიშვნელობა.

- 4 დაზღვევის ხელშეკრულების განმარტებისას სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. სადაზღვევო ინტერესი ის სამართლებრივი ინტერესია, რომელიც დამზღვევეს გააჩნია დაზღვევის ობიექტის მიმართ.² პირადი დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო ინტერესი მიმართულია დამზღვევის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ხოლო ქონების დაზღვევისას კი — ქონების შენარჩუნებისაკენ.³ სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის მიზნებად განიხილება დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებს შორის კეთილსინდისიერი ურთიერთობების ჩამოყალიბება და მესამე პირების ინტერესთა დაცვის სახით საჯარო წესრიგის დაცვა (იხ. 799-ე მუხლის კომენტ.).
- 5 სადაზღვევო ინტერესი მკვეთრად ემიჯნება *დაზღვევის ობიექტს*. სადაზღვევო ინტერესი არ გულისხმობს მხოლოდ უფლებას დაზღვევის ობიექტზე ან მის ნაწილზე. სადაზღვევო ინტერესი მჭიდრო კავშირს გამოხატავს დამზღვევსა და დაზღვევის ობიექტს შორის. დაზღვევის ობიექტის ღირებულება გამოხატულებას ფულად ერთეულში პოულობს. სადაზღვევო ინტერესის ღირებულება კი შეიძლება ბევრად აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის ღირებულებას, რადგან სადაზღვევო ინტერესი მატერიალური და მორალური ინტერესების ერთობლიობაა.⁴
- 6 ქართული იურიდიულ ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა სადაზღვევო ინტერესის ტერმინს არ იცნობს. ერთი მხრივ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ „დაზღვევის ობიექტს განიხილავენ, როგორც დაზღვევის ინტერესს, რომლის განსაზღვრაც აუცილებელია დაზღვევის ხელშეკრულების დასადავად.“⁵ მეორე მხრივ, დაზღვევის ინტერესში ხელშეკრულებისადმი არსებულ ინტერესს გულისხმობენ: „მითითებული ნორმა აწესრიგებს დაზღვევის მიმართ დამზღვევის ინტერესის დაკარგვის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს.“⁶
- 7 815 II-ში გათვალისწინებული ნორმით, კანონმდებელი დაზღვევის ხელშეკრულებისადმი ინტერესის დაკარგვის შემთხვევებს აწესრიგებს. დაზღვევის ხელშეკრულებისადმი არსებული ინტერესი (*დაზღვევის ინტერესი*) არ არის საერთაშორისო სადაზღვევო დოქტრინისათვის ცნობილი სადაზღვევო *ინტერესის იდენტური*. მოყვანილი ტერმინების არსის დაზუსტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს ცალკეული დავის გადაწყვეტისას.

² *Garner* (Editor), *Black's Law Dictionary*, Eight Edition, Thomson West, 2004, p. 829.

³ *Cannar*, *Essential Cases in Insurance Law*, Woodhead-Faulkner, Cambridge, 1985, p. 4.

⁴ იქვე, 4-5.

⁵ *ცისკაძე*, ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, 2001, გვ. 8.

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის N ას-719-674-2010 განჩინება.

დაზღვევის ინტერესის დაკარგვის მაგალითად გამოდგება შემთხვევა, როდესაც დაზღვევის ხელშეკრულებისადმი ინტერესის დაკარგვის მოტივით დამზღვევემა მეორე პრემიის გადახდაზე უარს აცხადებს. მოცემულ საქმეში⁷ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება დაიდო ბანკსა და შპს-ს შორის გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე. შპს-ს 100%-იანი წილის მფლობელი ფიზიკური პირის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით მხარეები სადაზღვევო პრემიის ორ ეტაპად გადახდაზე შეთანხმდნენ. დამზღვევემა სესხის სახით გაცემული თანხა ბანკს დაუბრუნა პირველი სადაზღვევო პრემიის გადახდის შემდეგ, პრემიის მეორე ნაწილის გადახდის ვადის დადგომამდე. სასესხო ვალდებულების შესრულების შედეგად დამზღვევეს დაეკარგა ინტერესი დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ და მან აღარ გადაიხადა მეორე სადაზღვევო პრემია. დამზღვევის ინტერესი ხელშეკრულებისადმი სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება დაიკარგოს.

სადაზღვევო ინტერესის დაკარგვით კი არაკეთილსინდისიერ დამზღვევეს არ ეკარგება ინტერესი დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ. მაგალითად, საერთაშორისო სადაზღვევო პრაქტიკისათვის ცნობილ ერთ-ერთ საქმეში,⁸ მცირეწლოვანი გოგონას ბიცოლამ სამ სხვადასხვა კომპანიასთან გააფორმა მისი სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება. ბიცოლას ცალსახად არ გააჩნდა სადაზღვევო ინტერესი დაზღვეული ობიექტის მიმართ, რადგან მან ბავშვს სიცოცხლე განზახ მოუსპო. ამის მიუხედავად, ბიცოლას გააჩნდა ინტერესი დაზღვევის ხელშეკრულებების მიმართ, სადაც მოსარგებლედ იყო მითითებული და საიდანაც უკანონო შემოსავალს ელოდებოდა. მოცემულ მაგალითში დაზღვევის ობიექტისადმი ინტერესი და დაზღვევის ხელშეკრულებისადმი ინტერესი და არა მხოლოდ ემიჯნება ერთმანეთს, არამედ, ფაქტობრივად, პირველის არარსებობა მეორის არსებობის წინაპირობას წარმოადგენს. ამრიგად, დაზღვევის ხელშეკრულებისადმი ინტერესის დაკარგვა იმავდროულად დაზღვევის ობიექტისადმი ინტერესის დაკარგვას არ გულისხმობს. მაგალითად, განქორწინების შემთხვევაში მეუღლეებს შეიძლება დაეკარგოთ ინტერესი ერთმანეთის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების, მაგრამ არა — ერთმანეთის სიცოცხლის მიმართ.⁹

IV. ნაკისრი რისკის ხანგრძლივობის შესაბამისი პრემიის გადახდა

815 II იცავს მზღვეველის ინტერესს. დაზღვევის ხელშეკრულება სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. სადაზღვევო მომსახურების არსი მზღვეველის მიერ სადაზღვევო რისკის ტარებით გამოიხატება. მართალია, დამზღვევი პრემიას იმიტომ იხდის, რომ დაზღვეული ობიექტის დაზიანების შემთხვევაში ანაზღაურება მიიღოს, მაგრამ მისი ვალდებულების შესრულება სადაზღვევო

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის N ახ-719-674-2010 განჩინება.

⁸ Liberty National Life Insurance Co.v.Weldon, ob. *Jerry/Richmond*, Understanding Insurance Law, 2007, p. 313

⁹ სწორედ ამიტომ არ არსებობს ერთსულოვნება განქორწინების შემთხვევაში სადაზღვევო ინტერესის შემადგენლობის განსაზღვრისას აშშ-ს სასამართლოებს შორის. ob. *Jerry/Richmond*, Understanding Insurance Law, 2007, p. 294.

რისკის რეალიზაციით არ განისაზღვრება. შესაძლებელია სადაზღვევო პერიოდი სადაზღვევო რისკის რეალიზაციის გარეშეც ამოიწუროს.¹⁰

- 11 შესაბამისად, თუ დამზღვევს დაეკარგა ინტერესი ხელშეკრულების მიმართ, მას ეკისრება მზღვეველის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისი პრემიის გადახდა.

V. მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა

- 12 815 III-ც მზღვეველის ინტერესებს იცავს. *მომსახურების შესაბამის ანაზღაურებაში* კანონმდებელი გულისხმობს იმ ხარჯებს, რაც მზღვეველმა გაიღო დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას. აღნიშნული შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მზღვეველი სადაზღვევო მომსახურების ფარგლებში სხვა ტიპის მომსახურებისთვის იხდის თანხას. ასეთს მიეკუთვნება მაგალითად, მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს ზიანის შემცირების მიზნით გაწეული ხარჯები.

¹⁰ ცისკაძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, 2001, მუხ. 799, გვ. 108.